



# საქართველო

სურათებიანი ლაგატიკა  
გაზეთის № 248      ღამატიკის № 44

კვირა, 6 გიორგიშისთვე, 1916 წ.



გლოტიკილი მკრამილი. ნ. ხატი კოტი ქავთარატიკისა.

\* \*

როცა ღღა შვილსა სწყევილის  
 ძუძუები ლოციულობენ,  
 ღამე ნატიხ მშობლის ამავს  
 ეგრე რიგად ვერა სთმობენ.  
 და თუ ღღა გამეტიებით  
 წყევილა-კრულვას გაუბედავს,  
 მის ოთახში გვირგვინიდან  
 მთვარე აღარ ჩაიხედავს.  
 მზიცი ეზოს პირს მოარიღებს,  
 კუჭყი აღარ აუშრება,  
 და უგულო მშობელ ღღას  
 ძუძუც მალი გაუშრება.  
 და თუ შვილი მშობლის ამავს  
 დაივიწყებს, უკუ აგღებს,  
 მის საქციელს დაჰგმობს ყველა,  
 თემიც გარედ გამოაგღებს.  
 სამშობლოს და მშობელ ღღის  
 დამწიხვლელს და უარყოფელს  
 ხალხი ვერსად შეიგუებს  
 და ვერც ნახავს ისეთ სოფელს,  
 სადაც მისთვის არ დაბნელდეს  
 განგებ ზიზლით მზე და მთვარე;  
 ასეთ შვილებს იღებს მხოლოდ  
 შავი მიწა და სამარე.  
 იმთაც კი ეზარებათ,  
 როგორც ხალხი გვეუბნება,  
 მაგრამ რა ჰქნან ასეთია  
 კანონი და ღვთის განგება!..

შიო მღვიმელი.

## ქარვის დღეობა

ავად გაგვიხდა დედოფალი ფერმილეული  
 და შეუყვიოლდა ნაწნავები შავად ხვეული.

თრთოლით, ცახცახით შემოიხსნა მან სამკაული:  
 —დაე სხვამ გასცეს ზეიმი და დღესასწაული.

ვარდის ტუჩებზე გაიყინა ცვართა ციალი  
 და შემოგვესმა ენკენისთვის ნაზი შრიალი.

ყვითელი თოვლით დათოვლილა მწვანე ხეობა  
 და ქარიშხალმაც ყველას ამცნო ქარვის დღეობა!

გამოიყვანეთ დედოფალი ოქროსთმოსანი,  
 მიეგებენით ქალწული თუ ქარქაშოსანი:  
 დე, იყოს ჩვენში ყველა მეფე, ყველა მგოსანი,  
 ერთად ვადიდოთ დედოფალი გვირგვინოსანი.

ერთად ვიტვიროთ მზე ჩასული—მნათობიერი  
 და ჩვენ სახეზე გამოვსახოთ მისი იერი!..

გ. ღღონიძე.





ბახმაროს (გურია) მოაგარაკენი სტუმრად იაილა ზოტიყელში. შუაში ახმედ-ბეგ ბეჟანიძესთან (თეთრ ფაფახიანი) ზის ხასან ალა ირემადე (ეპოლეტებიანი) (იხ. დღევანდელი გაზეთის ფელეტონი აპ. წულაძისა).

\* \*  
ბუღბუღოთა და შაშვით გალობა,  
ყვავილთ შეფის—ვარდის სუნი,  
თუ: ვისმე აქვს ყნოსვა, სმენა  
განა არის დასაწუნი?!  
ბუღბუღი რომ ღამით გალობს  
და ახშირებს მოთქმა-სტვენას,  
ალბად, ბედი არა სწყალობს,  
და იქარვებს გულის წყენას.  
ვარდი უსმენს თავ-დახრილი,  
ცრემლიანი, ნამიანი;  
აგონდება გველთა ხვევნა  
გესლიანი, შხამიანი.  
და როდესაც ღამის ფრთენი  
მზის სხივებ წინ თავს დახრიან,  
ვარდ-ბუღბუღნი მწარე ნაღველს  
მხოლოდ მაშინ ვადიყრიან...

როცა შაშვი ჩაბვირდება  
ხეც კი უსმენს და კანკალებს,  
იზიარებს ჭირს და ვარაშს,  
ფოთლებს აღარ აშრილებს.  
ფიქრობს: იქნებ, კენესით შტვენამ  
ერთხელ შეგებით ფრთა გაშალოს;  
უხამს რხევით გრძობას ხელი  
რისთვის უნდა შეუშალოს!  
ნედლი ხე რო ასე ზრუნავს,  
მეტყველებას მოკლებული,  
უკუღმართად რისთვის ბრუნავს  
ზოგიერთა კაცის გული?  
თავისი თუ აღარ მოსწონს  
თაკილობს და კიდევ სწუნობს,  
გადაგვარდეს მარტო ერთი,  
ხალხში ნულარ მაიმუნობს.  
შიო მღვიმელი.

### მანველტის უვიდაული

(გერმანელთა პოეტის მორიც ჰარტმანისა)

კვარა ღღეს ცხენი შეკაზმა  
მანველტმა სახელქებულმა  
და სეირნობა დაიწყო  
შ ნყოფნით გაჯერებულმა.  
შეხედა: საყდრის ჭიშკართან  
შეგროვებულან გლახები,  
და ისმის იმათ ბაგეთგან  
შებრალებისა სიტყვები.  
მაგრამ ზვიადი მლოცველნი  
მათკენ არ იცქირებიან,  
არც მოწყალებას აძლევენ  
და სახლში ეშურებიან.  
ფულითა სავესე ყულაბი  
შესანახავად მიაქვთ მღვდლებს,  
მთხოვარნი ქვებზე ჩამოსხდნენ,  
ელიან მწუხრის მლოცველებს...  
ეგებ საღამოს ისინი  
ვინმე ჰყოს ნუგეშცემული.  
მანველტი სახლში ბრუნდება  
ნანახით დამძარბული.

ორშაბათს ცხენი შეკაზმა  
მანველტმა სახელქებულმა  
და სეირნობა დაიწყო  
შინ ყოფნით მობერებულმა.  
იხილა ხალხი ბაზარში  
სავაჭროდ შეგროვებულა,  
ხმაურობა და ყიჟინა  
აქ უკვე გამეფებულა.  
რა გინდა, სულო და გულო,  
რომ აქ არ იყოს საყდრი,  
მაგრამ ყიდულობს მდიდარი,  
მოხერხებული და ფლიდი.  
მხოლოდ ღარიბი ღარიბად  
რჩება, ვით წინათ, ეული.  
მანველტი სახლში ბრუნდება  
ნახულით დაღონებული.

სამშაბათს ცხენი შეკაზმა  
მანველტმა სახელგანთქმულმა,  
და სეირნობა დაიწყო  
შინ ყოფნით მოწყინებულმა.  
შეხედა ერთსა მოედანს,  
სადაც ხალხია უთვლელი,  
და სამართალსა წარმოსთქვამს  
აქ იმ ადგილის მართველი.  
ის გაამართლა მსაჯულმა,  
მას მისცა ჯილდო ქებული,  
ვინც მლიქვნელობდა იმის წინ  
და იყო ხარისხდებული;

ანუ ვინც თავის სიმდიდრით  
იყო მათ შორის ცნობილი,  
გამტყუნებული ღარიბი  
შინ მიდის ლახვარსობილი.  
მაგრამ იმ ეტლსა, რომელშიც  
იჯდა იგივე მართველი,  
მისდევდა ხალხი ურიცხვი,  
იმისი ქების მხმობელი.  
აქებდენ იმის სიკეთეს,  
და იმის მოწყალებასა,  
მუხლსა უდრეკენ მონურათ  
იმის ტკბილ სიტყვაობასა,  
ფებს წინ ყვავილებს უფენდა  
მას ხალხი აღფრთოვებული...  
მანველტი სახლში ბრუნდება  
ნანახით დამწუხრებული.

ოთხშაბათს ცხენი შეკაზმა  
მანველტმა სახელქებულმა  
და სეირნობა დაიწყო  
შინ ყოფნით დამძიმებულმა.  
ხედავს, რომ ხალხი ჩოჩქოლით  
საყდარში ეშურებოდა;  
შიგ შემოსილი მოძღვარი  
საცოლქმროს ელოდებოდა.  
აგერ გამოჩნდა სასიძო  
შეკარებული, მოხუცი,  
გვერდს უმშვენებდა მას სასძლო  
ახალგაზრდა და კეკლუცი,  
ის სასძლო იყო ღარიბი,  
ხოლო სასიძო მდიდარი.  
სასიძო მხიარულობდა,  
სასძლოს კი ადგა დღე მწარი;  
თვალეზე ცრემლი უჩანდა,  
იგი გულითა სტიროდა  
და თანახმობას მოძღვარსა  
უგულოდ ეუბნებოდა.  
სტუმრები ცოლქმარს ულოცვენ,  
მერე ქორწილში მიდიან;  
და სასძლოს დედაც ნეტარობს  
ყველა იქ მყოფზე ძალიან,  
მას ნეტარება ქალისგან  
აქვს ესე მინიჭებული.  
მანველტი სახლში დაბრუნდა  
ნახულით დამძარბული.

ხუთშაბათს ცხენი შეკაზმა  
მანველტმა სახელმორკმულმა  
და სეირნობა დაიწყო  
შინ ყოფნით მობერებულმა.  
შეხედა ერთ ვიდს შენობას,  
სად ქალნი იკრიბებიან,  
და ღარიბულად ჩაცმულნი  
ერთმანერთს ერიდებიან.  
იქვე მოდიან ყოვლისმხრით

### პიერო

აყვავებულა გაზაფხული ზაფხულად ბალში,  
ვარდი თუ უფრო წითელია—თორემ არ მკრთალობს,  
და ათრობს ისევ გამოცდილი ძველი ტოლბაში  
ძველი აშიკიც სიყვარულზე სალტომორტალობს.  
იყო ბესიკი, საით-ნოვა და თეიმურაზი..  
ამაყ პატრონებს მოელოან მცველნი კარებში.  
დამშვიდდი სულო, სამუდამოდ გადაირახე,  
საწყალ პიეროს გზა დაებნა უცხო მხარეში...  
სიზმარი თუა—სიზმარია, მხოლოდ ჩვენი დღე,  
მეფობს წარსული... ძველ ჩრდილებს არის აქ ბინა.  
სტირის პიერო: კოლომბინა, ახ, კოლომბინა!..

ტ. ტაბიძე.

### სკაპლიანი ლაქსი

ყვავილებით ერთხელ მსურდა მომეფინა შენი თმანი.  
დალაღს ვარდი შეამკობდეს!—ესე მქონდა გულის თქმანი.  
მალემსრბოლი ნიავეით ყვავილისთვის ველად ვსრბოდი  
ვერ ვიპოვე, ჰხედავ ჩემო, მწუხარებით ვიძახოდი..  
დღეს ზაფხული საღამურობს.. მგალობელნი ჰანგსა ჰსთქვიან  
ნარინჯი და იასამან ერთმანეთსა შეეტრფიან.  
იტყოდიან: გაზაფხულო, მწუხარებას იტყვის ვინო?  
და ბევრია ყვავილები: სამიჯნურო, საგვირგვინო!  
მაგრამ, ჩემო, რასთვის მინდა, როს საფლაგში ვძინავს წყნარად,  
გაზაფხულის ვარდზამბახებს, ველარ შეჰხვდი მოლიმარად,  
მზის ამოსვლა და ძახილი, მწუხარების მექმნეს ზარად,  
გარს ყვავილნიც იშლებიან ობოლ გულის შემეზარად.

გ. ლევინიძე.





მომღერალ-მოცეკვავე აქარლები აგარაკ ბახმაროზე (გურიაში).

შუაში სხედან: ა) მუჟიკოსი კ. ფოცხვერაშვილი, ბ) ახმეტ-ბეგ ბეჟანიძე, გ) ქ. ფატულია ნესტორ გლიაძის ასული. (იხ. დღევანდელ გაზეთში ფელეტონი აპ. წულაძისა).



ოფიცერი ნიკ. ჯორბენაძე. დაჭრილია ავსტრიის ფრონტზე. სიმამაცისათვის დაჯილდოვებულია მე-4 ხარისხის ანნას ჯვრით, წარდგენილია ოქროს ხმალზე და მესამე ხარისხის ვლადიმირის ჯვარზე.

სახელოვანი გვამები, მხარს უშევენ მათ ცოლნი, მდიდრულად ჩანაცვალები. ღარიბთა შორის ეძებენ ძიძებსა მდიდრის ცოლები; ზოგს ენატრება ძიძობა, ზოგს კი სდის თვალთვან ცრემლები. სტირის, ვინც უნდა დასტოვოს თვის ძუძუწოვი ბაღანა, უსუსუს გამოეთხოვოს, წავიდეს დიდებულთა. შვილთა დამტოვებ დედები უკანვე იცქირებიან, მათ უკანასკნელ შეხედვით ოხვრენ და იცრემლებიან, მაგრამ ვინ ჰკურნოს დედისა გული ბოდმითა დახრული! მანველტი სახლში ბრუნდება ნანახით თავბრუ დასხმული.

პარასკევს ცხენი შეკაზმა მანველმა სახელქებულმა და სეირნობა დაიწყო შინ ყოფნით დაოსებულმა. ხედავს: ქუჩაში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეჩხუბებიან, ჰყვირიან გაცხარებულნი და თანაც ილანძღებიან. ქალი ნაწნავებს იგლეჯავს და შვითავს გაშმაგებულნი: — „შენ მილალატი, წყეულო, დამღუპე ცოლი ერთგული!“ — „შენ კი, გველისა ნაშობო, მომიკიდებდი ცეცხლის ალს, თვით მიწყე მომატყუებდი და ამირვედი გზა და კვალს!“ მსაჯულმა მშრილად აუწყა მათ განჩ ნება გაყრისა, გაშორდნენ ერთი მეორეს, ვით მტერი ერთმანეთისა. ამ გულშემზარავ სურათსა უცქერდა ბავშვი ფერმკრთალი: ხან მამას მასჩერებოდა და ხან დედასა მტირალი. ის გადაიქცა მათხოვრად მშობელთგან მიტოვებული. მანველტი სახლში დაბრუნდა ნახულით აღშფოთებული.

შაბათსა ცხენი შეკაზმა მანველმა სახელქებულმა და სეირნობა დაიწყო შინ ყოფნით გაჯერებულმა.

შევიდა იგი ქალაქში, სად ბრძოლა ჰქუხდა ფიცხელი, სისხლს ღვრიდა უხვად კეთილი და ბოროტების მთესველი. მონა და თავაღუფალი ეგდენ გულგამირულები, ურახუნებდნენ დაობანდს და ზუზუნებდა ტყვეები. ბევრგან ფრიალობს დროშები და მათ წინ შეფიცებულნი, მხურვალე სიტყვებს იტყვიან ბელადნი გატაცებულნი. ხალხი უცნაურ ყოყონით ანგრევს სამეფო სახლებსა; თვით მეფე შორსა მიილტვის და სცდის შიშისა ქარებას. მაგრამ ტახტს იკერს მეორე მეფე, ხალხისგან რჩეული. მანველტი სახლში ბრუნდება ნახულით აღელვებული.

მეორე კვირას რიჩრახზე წავიდა მანველტი ქებული... და იყო იმ დროს სოფელი მკვდარი სიჩუმით მოცული. აქა-იქ სახლის თავებზე ბოლის ნისლები ჩნდებოდა და ნელი ქარის მობერვით ჰაერში იფანტებოდა. ცისა ლაგვარდში ტოროლა სიმღერას არაკრავებდა და ხისა მწიფე ნაყოფი ტოტებსა დაამძამებდა. რუც მოხლაკნილი ზოლითა დღეშილით ჩამოდიოდა. მანველტი დაჩუმებული ცხენის ტყეებით რბიოდა ცხენოსანს ტყეში იწვევდა თვისი ძახილით გულგული... ტყის შუა გულში მოექცა მანველტი გარიდებული. თანდათან ტყის ბნელ წველიადში მანველტი იკარგებოდა, ტკბილ ხმოვან ფროთოსანთ ტკბილი ხმა ყველგან წინ ეგებებოდა. მათი ამო ხმის მოსმენით ყურთსმენა დაუტკბებოდა, ის საალერსო ჰანგებით გულის სიღრმეში სწვდებოდა. მათი ხმა მანველტს უქადდა მყობადში დავიწყებასა და აწმყოს მიერ დატანჯულს სანატრელ მოსვენებასა.

გაქრა უღრან ტყის გულში მანველტი სახელქებული... აღარც დაბრუნდა თვის სახლში მოძმეთა ტანჯვით გვემული.

ილ. ფერაძე.

### ცხოვრების ეკლები საზიწველი წუთები.

(ამბავი)

I

დედა არ მიშვებს იმ ოთახში, სადაც დღეს დილით პაპა მოკვდა. სულ ცდილობს გალავანში გამაგდოს ტოლებითან სათამაშოთ. ბინდისას, ასე ღამის მეათე საათზე, ბევრი ხეტილის შემდეგ, მალვით კარებთან მივიპარე, ფარდა გავწიე და შევიხედე განათებულ სასტუმროში. მკვდარი პაპა, დეკანოზი ქ—თის ეკლესიისა, ჯერ ისევ ლოგინზე იწვა. ზაფხულის საბანი, პერანგი, თმა, წვერ-ულვაში თეთრად უქათქათებდა, ღამაზე თვალებზე ნათელი გადაჰფენოდა. თავს და ბოლოს ეკლესიის დიდი შანდლები ედგა ორიოდ. ანთებული სანთლით და მღვდელი დაბალის ხმით სახარებას უკითხავდა. შეგკრთი. ჩემთვის პირველი იყო მკვდრის ასე ახლო ნახვა. გაცოცხლებული შევსცქეროდი და ვერ ამეხსნა, თუ რამ ჩააგდო პაპა ასეთ უმოძრაო მდგომარეობაში.

ყველა ჩამძახის: „მოკვდაო!“, ნეტა თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა?!... თუმცა კარგად არ მესმის, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ საყვარელ პაპას სიკეთე არ დამართია. ვიცი, რომ ის ვეღარ ადგება, ვერ დამიძახებს, ვერ მაკოცებს... აცახცახებული ხელის თითებით წინანდებულად კისერში სასიამოვნოდ ვერ წამილიტინებს... გული მიჩუყდება... მინდა ღრიალით მივარდე, დაფუკოცნო კეთილი თვალები, თეთრი ფაფუკა წვერი, რომელშიაც ასე მიყვარდა პირისახის ჩამალვა, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვრი... რატომ?! მეც არ ვიცი... თავში კი ამ დროს ელვასავით მირბენს, პაპასთან დაკავშირებული, ჩემი მოკლე ცხოვრების სხვა და სხვა ამბები. დიდხანს ვიდგებოდი ფიქრებში წასული, გაქვავებული, დედას რომ ჩემთვის უცებ

კლავში ხელი არ წაველო და მეორე ოთახში არ გავეყვანე.

— „რა არი, შალვა, რას შეიყურები მიცვალბულის ოთახში?.. კარგად იცი—მოკვდა პაპა შენი. მეათე წელიწადში სდგებარ, აღარ შეგფერის ბალობა. დინჯად იყავ, გენაცვამე, არ იტირო... აი, ამ პატარა ღამფას შეიტან პაპას ოთახში, ამაღამ იქ, იმის ლოგინში დაწვი. აქ დედაკაცებში შენი ადგილი არ არის. სამ—ოთხ საათამდე მკერავებთან ერთად უნდა გამოვიტყრაო და შევიკროთ შავები. ჩვენ, იქნებ, ამაღამ არც კი დავიძინოთ. გახსოვდეს, ღამფა არ დაგრჩეს, უსათუოდ ჩააქრე“...

დედის სიტყვებმა მკვდრის დანახვაზე უარესად ამიფორიაქა გონება. როგორ?.. ბნელ და ცალიერ ოთახში შესვლა ყოველთვის მაშინებდა და ახლა მარტოდ მარტო პაპას ოთახში უნდა შევიდე და იმის ლოგინში დავწვი?.. მართალია იმ ლოგინში ავადმყოფი პაპა არ წოლილა, მაგრამ ლოგინი მაინც მკვდრისაა... რა ვქნა, რა ვუყო, როგორ გავეხვიო იმის საბანში?! თუმცა დედის ნათქვამზე ტანი ამებურძენა, ერთ ხანს ცივმა ეკალმაც ჩამირბინა ბექებში, მაგრამ, როგორც იყო, თავი შევიკავე, დედას წინააღმდეგობა არ გავუწიე. ასეთ წაშს აბა როგორ მეწყენებია მისთვის? მეტი ღონე არ იყო, გაბედულად ჩამოვართვი ღამფა და მორჩილი შევეუდექ გზას.

II

მოსამსახურე გოგოს ბნელ ოთახში შეველ... ღამფა მარჯვენა ხელში მიჭირავს მაღლა აწეული. გადმოკარკლულ თვალებს გარშემო ვაშტერებ, ყოველ დარახუნებას ყურს ვუგდებ, ყველაფერს ვათვლიერებ. საკუთარი ჩრდილი თანმხლებად მეჩვენება. სულ უკან-უკან ვიცქირები, მეშინიან: აქა-იქიდან არავინ მომეპაროს...

გასავალ კარებში ჩავდექ. უნდა გავიარო სამზვარეულოს დერეფანი, შემდეგ მარცხნივ შევიდე დიდ შუშაბანდიან ყვავილების ოთახში, რომლის ბოლოს მარცხენა კარს პაპას ოთახში შეჰყავს, მარჯვენას კი ეკლესიის გალავანში გაჰყავს. თუმც არც ისე დი-





დი მანძილი მაქვს გასავლელი, მარა დღეს ჩემთვის ტანჯვის გზად გადაქცეულა. გოგოს ოთახიდან დერეფანში ერთბაშად ვერ გადავსულვარ: ძველი შკაფებისა და კედლებთან მიყუდებულ ხარახურას ჩრდილები ჩემი ლამფის მკრთალ სინათლეზე რქიან ეშმაკებად შესახება. კარებში ვტრიალებ, გაფაციცებით ყველაფერს თვალს ვადევნებ. ისეთ მოლოდინში ვარ, თითქო აი! აი!.. რაღაც უნდა ჩამოძვრეს, ან ამოფრინდეს, გამოცოცდეს და მეცეს ფეხში, მკლავში... შემაჯრილა, კანკალით ავირბინე კიბის სამი საფეხური, შესავალ კარებში ჩავდექე, ვბრუნავ, ვტოკავ მოუსვენრად: მეშინიან — თან არავინ შემყვებს... ვიტრიალებ, ვიტრიალებ, ბოლოს მარდად შევვარდი ოთახში, კარი გადავრახე და სმენად გადაქცეული, გავქვავდი... ამ დიდ ოთახში ბევრი რამაა დასათვალიერებელი, ყურ-დასაგდები. აგე!.. აგე!.. თავგები... ყველა ეხლა აწრიპინდა, ატაკუნდა. გარედან ქარი ხის ტოტებს ახლის ფანჯრის მინებს და ისედაც დამფრთხალს არ მასვენებს... მაღალი მცენარეები ლამფის სინათლეზე გახიდ-გამობილულ ჩრდილებს აბჯენენ კედლებს, ქერს, იატაკს. თრთოლით მიველ იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ და მარცხნივ კარებია. ჯერ ნელა გავალე გალავანში გასავალი კარი, გავიხედე.

გაზაფხულის ღამეა. გაკაშკაშებულ მთვარეზე იღუმალად გაცისკროვნებულა ეკლესია. საფლავის მატურები, ხეები, ბუჩქები, მოაჯირები, ყვავილები... ყველაფერი მიყურებს, გაცოცხლებით მასტერდება... მეც შევცქერი მათ თვალგაბმით. ჩემს თვალში თითქო ისინი იზრდებიან, ტოკავენ, ერთმანეთს უახლოვდებიან, საიდუმლოდ ჩურჩულებენ... და ეს მათი ჩურჩული მათ მთელ გალავანს ირგვლივ გარკვევით ეღება: „რაო, რისთვის!, რა ამბავიაო?“... თვალმოუშორებელივ შევცქერი, ვგრძნობ, რომ მეც მათთან ვიზრდებო, ვმალდები... აჩქოლებული გული ძლივს მოვიბრუნე, თვალების ქვეტით უკან-უკან ვიწვევ... კარი ჩავკეტე და მივადექე პაპას ოთახს, ამ ჩემ დროებითს ჩემ საფლავს... მოხუარულ კარ წინ ვდგევარ. არ ვიცი, რა ვქნა?.. აქაც საშინელმა შიშმა ამიტანა. გავალბ კარს, ცხრა ხელი მწვდება, ფეიქრობ... ერთხანტელი მივლის, თმა მებურძგნება.

III

გარეთ ამ დროს ქარი თანდათან უფრო ხმაურობს: ხრინწიანი ხმით ურწევს გადახნილი ტოტებს, ხის ფოთლებს ლაწა-ლუწით ახლის ფანჯრების მინებს... ვართი, ვკანკალებ... რა ფუჟო ჩემს თავს, არ ვიცი!.. შევიდე ამ საშინელ ოთახში სატანჯველად, თუ ხმა მაღლა ავღრიალდე და ვითხოვო შეგლა?!.. მერე — დედა ხომ გაიგებს და გამოვარდება. ის უნდა აშფოთდეს, შეწუხდეს, იტიროს... რაღა ტირილი უნდა საწყალს, ისეც მთელი დღე სტირის. მეც ხომ ბევრი მატირა დღეს, როდესაც მოსამძიმრეთ ღრილით მიმართა: „შემიბრალეთ, შალვა მეორედ დამიობლდაო“... არა!.. რაც მომივა, მომივიდეს. დე! შემეპა-

მონ იქ ეშმაკებმა, ქაჯებმა, ალებმა, მაინც უნდა შევიდე.

ამ სიტყვებზე კარს ძალზე მივკარ ხელი, კარი გაიღო. ლამფა გავიშვირე წინ და საშინელების მოლოდინში დაქვეტილი თვალებით დინჯად შევედი. თმა ყალყზე მიდგას. ვგრძნობ, რომ მთლად ვსივდები... კისრის და ზურგის ტყავი პერანგით, თმები, ყველაფერი სულ მაღლა-მაღლა იწვევს და აგერ ჩემ მხრებზე გადმოდიან... მივიხედ-მოვიხედე... საკვირველებია!.. პაპას პატარა ოთახი, რომლისაც ასე ძლიერ მეშინოდა, მშვიდად დამიხვდა. არც ჩრდილია აქ სადმე, არც რამ შესაშინარი. ერთად ერთმა, პაპას სალოცავმა, ვედრების ღვთისმშობლის სახემ ღმობიერად გადმოხვდა სახატოდან. მიამა, მაგრამ იმის ცქერა მაინც მაშინებს... სახატის ქვეშ პაპას ლოგინზე დაჯექე, იქვე კედლის პატარა თახჩაში შევდგი ჩემი ლამფა. აჩქარებით დავიწვე ტანისამოსის გახდა. ვცდილობ, რაც შეიძლება მალე ჩავკვდე, ლოგინში ჩამალული და ვეგლო გათენებამდე. ტანთ გავიხადე.

ტიტლიკანა, პერანგის ამარა, შევძვერ პაპას საბან ქვეშ. საშინელი წამი დადგა. არ ვიცი, როგორ მოვახერხო, ერთსა და იმავე დროს ლამფაც ჩავაქრო, მეც საბან ქვეშ შევძვერე და ყველა მხრიდან ისე ამოვიკეცო, რომ სიბნელეში არავინ არსაიდან ხელი არა მტაცოს... ფეხებში კარგად ამოკეცილი საბანი პირითაც მაგრად მიჭირავს. მომზადებული ვარ შიგ ჩასამალავად. ბალიშებზე მიყუდებული ვუბერავ ლამფას შორიდან. არ იქნა, არა ჰქრება, გავიუტდა. ხან ჩაბნელდება, ხან ისევ ამოიწვევს. წვალელების შემდეგ წამოვიწვიე, მაგრა შევუბერე — ჩაქრა!.. შევარდი უცებ საბან ქვეშ და, გავნაბდი, გავქვავდი. ვგდივარ ჩამკვდარი, თავით ფეხამდგოფლში გაწურული. აქა-იქიდან საბან ქვეშ ვგრძნობ ცივად მონაბერ სიოს. მესმის, რომ სწორედ აქაა სახიფათო ადგილები. ველი, რომ ან ეხლა, ან ეხლა სწორედ აქედან შემოძვრება ვიღაცის ხელი და დამპატრონებს... წამი წამს მისდევს, ლოდანში ვარ... ძარღვები მეჭიმება, ოფლში ვაწურულს სული მეხუთება... მინდა გავსწორდე, საბანი ამოვიკეცო კარგად, მარა როგორ გავინძრევი... პირიქით ვცდილობ, რაც შეიძლება, სუნთქვა მთლად შევიკრა, გრძობა დავიხშო, რომ... ამ დროს ბრახ!.. ჩემ ზურგს უკან ლოგინზე შეცრად რაღაც დამეცა... ერთი კი ძალზე შემაცახცახა და უგრძობლად ვიქეცე... აღარა მახსოვს რა, ჩემს თავს შემდეგ რა გადახდა... დილით, უფე მზიანი, გაკაშკაშებული დღე იდგა როცა გამეღვიძა: ზეზე წამოვვარდი, ლოგინზე დავიხედე, ჩემ გვერდზე ეგლო ჩემი პატარა ლამფა. აი, თურმე წუხელის თახჩიდან რა დამცემია!..

კ. დოდაშვილი.

მოგონება

Кресту Твоему поклоняемся, Владыко!..

რუსებმა მომხიბლეს, მომაჯადოეს: პატარაობითვე თან და თან მაწვეთეს ყურში და ისე უზომოდ შემაყვარეს

ეს, ჩემთვის უცხო, ღვთიური საგალობელი, რომ მისი ამამღურებელი მელოდია დღესაც ყურში მაქვს...

ბავშვი ვიყავ. მინდვრის შეგლივით ლალად ვიზღებოდი ჩემიანებში. სამშობლოს გრძნეული ბუნება თავს დამხაროდა. საყვარელი მშობლები გარს მეხვივნენ, ყველა მართობდა, მანებიერებდა...

ტკბილად, უღარდელად მიდიოდენ ნეტარებით აღსავსე ჩემი დღეები...

უცებ... რვა წლისა ვიქნებოდი, მომიტაცეს, მოულოდნელად მომაშორეს ჩემიანობას, მომგლიჯეს ყოველსავე მშობლიურს და უცხო პირობებში გადამნერგეს; ისეთ პირობებში, რომელსაც ტკბილ წარსულთან კავშირი არ ჰქონებია და თვით ბუნებაც მშობლიური მოუშხამია...

ჩემს გადაგვარების გზაზე დამყენებლად, ასე გასინჯეთ, მშობელი დედაც კი გამხდარიყო ჩემი.

მახსოვს, ცრემლ-მორეული მეთხოვებოდა, რაღაც ხმა-ჩახლჩით შეუბნებოდა: „სწავლის დრო დაგიდგა, შეილო, აქ, ამ პანსიონში უნდა დარჩე. კარგად ისწავლე, გენაცვალე! ნუ გეფიქრება, ხშირად მოვალ ხოლმე სანახავად“...

განა შეიძლება ავიწეროთ, რა ზომისა და სივრცის ნაღველმა მოიცვა მაშინ ჩემი ნორჩი გული?..

უღედოდ!.. ვერ წარმომედგინა, თუ როგორ უნდა დავრჩენილიყავ უშიშროდ, ურომლისოდაც ჯერ წუთი არ გამიტარებია ქვეყანაზე?

ავღრიალდი, ხვეწნა-მუდარით დედას კალთებზე ჩამოვებლაუქე, მაგრამ... ის სწრაფად გამიხსლტა, სადღაც მიმემალა და მე ვიღაც უცნობ „დიადკას“ დავურჩი ხელში. ჩაბჭირებით მოტირალს ეს კაცი გაუგებარენით მიაღერებდა, მაჩუქებდა და, ბოლოს, რაკა ვერა გააწყო რა, პანსიონის ეზოში გამიყვანა და ტოლბიქებში შემავლო...

ბავშვების დანახვაზე, თითქო, შემრცხვა, გავჩუმდი და კოპებ-შეკრული პერანგის სახელოთი თვალებს ვისრესდი. ჯერ ერთმა მალხაზმა ბიჭმა გა-

მომიბრინა, ხელი გამეჭყრე! მეტ-ქმერემ ლაზათიანად წამკრა, მესამე დამეღრიჯა და გაიქცა. ეს ძლიერ მეწყინა. გამოვფუდექე ამ თავხედს დასაჭერად. ის შედგა და კიხვინით წინ დამიდგა. მე სრულიად გადამაიწყდა მისი დაღრეჯა, უცებ ცხენად წარმოვიდგინე თავი, კიხვინითვე ვუპასუხე და მალე ილიაში გადადებულ კლავებით, თითებ გადაქდილ გამოშვერილ ხელით ერთად რიგზე მოვკიხვინებდით იქითკენ, საიდანაც გავიქეცი.

როცა ხანს შემდეგ სხვა ბავშვებთან არხენად „სალექ-მალექ“-ს ვთამაშობდი. დრომ გაიარა... ხშირად მაგონდებოდა ჩემი ტკბილი წარსული. სევდით მოცული ვიგონებდი მშობლებს და სახლში გატარებულ ნეტარ დღეებს...

დავფიქრიანდი. მართალია, ბავშვებთან თამაშით ხანდისხან ვერთობოდი, მაგრამ, რაც ხანი გადიოდა, ვგრძნობდი, რომ უღარდელ, თამამ და ლალ ბავშვიდან უცხოვლებ შორის გადავიქეცე მობუზულ, გაუბედავ, დასველიანულ არსებად...

იმ ხანებში ჩემთვის გამოუთქმელი ნეტარება იყო, როცა კი ეკლესიაში ჩამწკრივებულ ბავშვებში მდგომს მომესმოდა ხოლმე ეს დიდებული საგალობელი, როგორც შეხმატკბილებული ბანი ჩემი უნელებელი სევდისა. ცისკარზე წმინდა სანთლებით ოდნავ განათებულ ეკლესიაში დაჩოქილს ამ გალობის დროს არა-ერთხელ მიტირინა გულ-ამოსკვნით.

ვისმენდი და ვტიროდი... მომაჯადოებელი მელოდია კი მისი, მამცნობდა მაღლა შემოქმედის უზომო ძლიერებას და დაბლა, მის ფერხთა წინაშე მხოხავ, ადამიანის არარაობას.

ამღურებულ გულს უნებლიედ ებადებოდა კითხვა: რას ჰპოვავს, რას დაეძებს ეს უძლური არსება? რად სთესს ამოდენა ბოროტება-უსამართლობას ასე დიდებულად შემკულ ქვეყნიერებაზე?...

კოტე დოდაშვილი.

მენახშირის გასაჭირი.

თბილისში მენახშირეებს ნახშირი იშვიათად ოუ ჩამოაქვთ-ლა, რადგან ჩამოტანილს ნახშირს ხალხი ესეოდა და იტაცებდა.

ქრონიკა.



— აღარც ტაქსია, აღარც სვინდისი? დაბალი ღობე მე მნახეთ, ხალხო?!